



# კვლევის თემა

მინიმალური საცხოვრებლები ექსტრემალურ პირობებში:  
საქართველოს ტრადიციული არქიტექტურა კავკასიის სასაზღვრო  
რეგიონებში

კვლევის კითხვა

როგორ განაპირობებდა ექსტრემალური კლიმატური პირობები,  
გეოგრაფიული იზოლაცია და გეოპოლიტიკური ფაქტორები  
საქართველოს მაღალმთიანი სასაზღვრო რეგიონების ტრადიციული/  
ხალხური არქიტექტურის განვითარებას და რა გაკვეთილები შეიძლება  
გვასწავლოს ამ არქიტექტურულმა ტიპოლოგიებმა თანამედროვე  
მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი დიზაინისთვის?

ანასტასია დომბროვსკაია

მარტი 2025

## აბსტრაქტი

დისერტაცია იკვლევს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე იზოლირებული და მაღალმთიანი რეგიონის, თუშეთის ტრადიციული არქიტექტურის განვითარების პროცესს. კვლევის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ განაპირობებდა ექსტრემალური კლიმატი, გეოგრაფიული გარემო და ისტორიული მოვლენები უნიკალური არქიტექტურული ტიპოლოგიების ჩამოყალიბებას. თავდაცვითი კოშკები, ბოსლები, ციხე-სახლები, სალოცავები და აკლდამები არა მხოლოდ ფუნქციურ ნაგებობებს წარმოადგენს, არამედ ასახავს ადგილობრივი საზოგადოების კულტურულ, სოციალურ და სულიერ ღირებულებებს.

აღმოსავლეთ კავკასიის მთიანი რეგიონები საუკუნეების განმავლობაში საქართველოსთვის ერთდროულად ბუნებრივი თავდაცვის ზონაც იყო და ადამიანთა საცხოვრებლად რთული გარემოც. თუშეთსა და ხევსურეთში ჩამოყალიბებული არქიტექტურული გადაწყვეტები ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეძლო ადამიანმა ამ მკაცრ გარემოსთან ადაპტაცია და მის პირობებში ცხოვრების ორგანიზება.

დისერტაციის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია, რომ ამ რეგიონების არქიტექტურა წარმოადგენს ცოდნის ცოცხალ არქივს, რომლის პოტენციალი ვერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი. ეს ნაგებობები ინახავს როგორც მათი შემქმნელი საზოგადოების მსოფლმხედველობასა და ცხოვრების წესს, ისე საქართველოს უფრო ფართო ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტს. სასაზღვრო რეგიონებმა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ომებისა და დაპყრობების ეპიცენტრში იმყოფებოდა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა არქიტექტურულ ლანდშაფტზე. თუმცა, შენობებში ჩადებული მესხიერება და ტრადიციები დროთა განმავლობაში თანდათან იშლება.

კვლევა მხოლოდ ისტორიულ ანალიზს არ ეყრდნობა. იგი ეფუძნება პირად გამოცდილებასაც, რომელიც თუშეთში გამართული არქიტექტურული ვორქშოფის ფარგლებში მივიღე. ექსპედიციის დროს მოვინახულე თუშური სოფლები, ვესაუბრე ადგილობრივ მოსახლეობას, გავეცანი ტრადიციულ სამშენებლო ტექნიკებს, მონაწილეობა მივიღე პრაქტიკულ საქმიანობებში და ამ გზით უკეთ გავიაზრე არქიტექტურის სოციალური მნიშვნელობა ადგილობრივ კონტექსტში.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა წყაროსა და სავლელ გამოცდილების ერთმანეთთან დაკავშირებას ეძღვნება. კვლევა აჩვენებს, რომ თუშეთის არქიტექტურულ მემკვიდრეობას შეუძლია მნიშვნელოვანი ცოდნა შესთავაზოს თანამედროვე არქიტექტურულ დისკურსს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იზრდება ინტერესი ადგილობრივი მასალების, რესურსების ეფექტური გამოყენებისა და ექსტრემალურ გარემო პირობებთან ადაპტირებული დიზაინის მიმართ.

დისერტაცია ხაზს უსვამს ამ მემკვიდრეობის დაცვის, გააზრებისა და თანამედროვე კონტექსტში ინტერპრეტაციის აუცილებლობას. არსებული კვლევითი ხარვეზების შევსებითა და საქართველოს ფრაგმენტულად ან არასწორად გააზრებული ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი კითხვების დასმით, ნაშრომი ცდილობს ხელი შეუწყოს დისკუსიას საქართველოს არქიტექტურული იდენტობის, ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მომავლის შესახებ.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია, დღემდე ინარჩუნებს საკუთარ გეოგრაფიულ და კულტურულ საფუძვლებს და გვთავაზობს უნიკალურ მაგალითებს იმისა, თუ როგორ პასუხობდა ადამიანი ექსტრემალურ კლიმატურ, სოციალურ და პოლიტიკურ გამოწვევებს არქიტექტურის საშუალებით.

## წინასიტყვაობა

მსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადო AqTushetii Residency-ს ამ კვლევის განხორციელების პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებული მადლობა ალექსანდრე ზათიაშვილს მასპინძლობისთვის, ნინი მამალაძეს ვორქშოფის ორგანიზებისთვის და ნუგზარ იდოძეს, რომელმაც გამაცნო რეგიონის უნიკალური სოფლები და კულტურული მემკვიდრეობა. მადლობას ვუხდის ვორქშოფის მონაწილეებს მათი წვლილისთვის და ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ ტომ კაუარდს, მხარდაჭერისა და რჩევებისთვის. ბოლოს კი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისაც სჯერა საქართველოს არქიტექტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის — სწორედ თქვენი ძალისხმევა და რწმენა მძლევეს მოტივაციას, გავაგრძელო ეს საქმიანობა.





## სარჩევი

აბსტრაქტი

წინასიტყვაობა

შესავალი

Page 7

თავი 1

Page 8 -17

სად მდებარეობს თუშეთი?

ვინ ცხოვრობს თუშეთში?

დასახლების სტრუქტურა და ტრადიციული არქიტექტურის ჩამოყალიბება

თავი 2

თუშეთი როგორც დაცული ლანდშაფტი და UNESCO-ს მემკვიდრეობის სივრცე Page 18 -23

მმართველობის გამოწვევები

წარმატებული ინიციატივები და მიღებული გამოცდილება

სევდიანი ისტორია და შესაძლო მომავალი: ძველი დიკლო

სოფლების აღორძინება მემკვიდრეობისა და ფუნქციის აღდგენის გზით

საერთაშორისო გამოცდილება და განვითარების პერსპექტივები

თავი 3 არქიტექტურული ვორქშოფი AqTushetii Residency-ში (ომალთ) Page 24-38

თუშეთის გაცნობა ნუგზარ ილიძის მეგზურობით

Camera Obscura-ს მშენებლობა

მდგრადი ცხოვრების გამოცდილება — ახალი ტრადიციული არქიტექტურის ფორმირების

პროცესი

დასკვნა

Page 38

ბიბლიოგრაფია

Page 30-43

ილუსტრაციების ჩამონათვალი

Page 44-45

დანართი

Page 46

## შესავალი

კავკასიონის მკაცრ ფერდობებზე მდებარე თუშეთი წარმოადგენს ადამიანის ადაპტაციისა და შემოქმედებითი უნარის გამორჩეულ მაგალითს ექსტრემალური გეოგრაფიული იზოლაციისა და მკაცრი კლიმატური პირობების ფონზე. საქართველოს ეს მაღალმთიანი რეგიონი ცნობილია თავისი ტრადიციული არქიტექტურით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების, გარემოსთან შეგუების, გამძლეობისა და კულტურული იდენტობის გამოსატყულებაა. თავდაცვითი კოშკებიდან დაწყებული, ბოსლებითა და საცხოვრებელი ნაგებობებით დასრულებული, თუშეთის არქიტექტურული გარემო საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ბუნებრივ, ისტორიულ და სოციალურ ფაქტორებს შორის არსებულ რთულ ურთიერთკავშირებს. თუმცა, დღეს თუშეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. მოსახლეობის შემცირება, ტრადიციული საქმიანობების დაკნინება და თანამედროვე განვითარების ინიციატივები საფრთხეს უქმნის რეგიონის არქიტექტურულ მემკვიდრეობას, რომელიც შესაძლოა მხოლოდ წარსულის მატერიალურ ნაშთად იქცეს და დაკარგოს ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რომელიც მას საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა.

დისერტაციამ იზნა დისახავს თუშეთის არქიტექტურის ნაკლებად შესწავლილი ისტორიის წარმოჩენას შემდეგი კვლევის კითხვის საფუძველზე: როგორ განაპირობებდა ექსტრემალური კლიმატური პირობები, გეოგრაფიული იზოლაცია და გეოპოლიტიკური ფაქტორები საქართველოს მაღალმთიანი საზღვრო რეგიონების ტრადიციული არქიტექტურის განვითარებას და რა გავლენები შეიძლება გვასწავლოს ამ არქიტექტურულმა ტიპოლოგიებმა თანამედროვე მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი დიზაინისთვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლევა ეფუძნება როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროების ანალიზს და აერთიანებს პირად გამოცდილებასა და კრიტიკულ კვლევას. პირველადი კვლევა მოიცავს თუშეთის სოფლებში სავლელ ვიზიტებს, ადგილობრივ მოსახლეობასთან არაფორმალურ საუბრებს, სპეციალისტების მიერ ჩატარებულ ექსკურსიებსა და არქიტექტურულ ვორქშოფში მონაწილეობას.

ამ პრაქტიკულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი წარმოდგენა შემიქმნა თუშეთის არქიტექტურის სოციალური, კულტურული და ფუნქციური მნიშვნელობის შესახებ. მეორეული კვლევა ეფუძნება თუშეთის შესახებ არსებულ, შედარებით შეზღუდულ სამეცნიერო ლიტერატურას, ისტორიულ წყაროებს, არქეოლოგიურ მასალებსა და არქიტექტურულ კვლევებს. არსებული მასალის ანალიზი მოითხოვდა სხვადასხვა წყაროში არსებული ხარვეზებისა და წინააღმდეგობების კრიტიკულ შეფასებას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო რეგიონის განვითარების თანმიმდევრული სურათის აღდგენა. ეთნოგრაფიული დაკვირვებების, ისტორიული კვლევისა და კრიტიკული ანალიზის გაერთიანებით, დისერტაცია ცდილობს გამოავლინოს კავშირები თუშეთის არქიტექტურულ წარსულს, თანამედროვე გამოწვევებსა და განვითარების შესაძლო პერსპექტივებს შორის.

პირველი თავი მიმოიხილავს თუშეთის გეოგრაფიულ და ისტორიულ კონტექსტს, აღწერს რეგიონის განვითარების ძირითად ეტაპებს და აანალიზებს არსებულ კვლევებს თუშეთის არქიტექტურაზე, მათ შორის იმ ხარვეზებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც დღემდე გვხვდება ისტორიულ წყაროებში. მეორე თავი თანამედროვე მდგომარეობის კრიტიკულ ანალიზს ეთმობა. იგი განიხილავს თუშეთის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებს, არსებულ გამოწვევებსა და მმართველობის პრობლემებს, ასევე აფასებს ტურიზმის, სახელმწიფოს და ადგილობრივი საზოგადოების როლს რეგიონის მომავალში. მესამე თავი ეფუძნება ავტორის პირად გამოცდილებას AqTushetii Residency-ის არქიტექტურულ ვორქშოფში მონაწილეობის დროს. ტრადიციული სამშენებლო ტექნიკების ადგილობრივი გამოცდილების შესაძლებლობების განხილვის პარალელურად, თავი წარმოაჩენს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი არქიტექტურული მემკვიდრეობის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფუნქციური და კულტურული განახლება. კრიტიკული ანალიზისა და უშუალო სავლელ გამოცდილების გაერთიანებით, ეს დისერტაცია ცდილობს აჩვენოს, რომ არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვა შეიძლება იყოს არა მხოლოდ წარსულის შენარჩუნების საშუალება, არამედ საფუძველი მდგრადი და შინაარსიანი მომავლის შესაქმნელად.

თუშეთი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი და იზოლირებული რეგიონი, ბარის მოსახლეობისთვის დღემდე გარკვეულწილად იდუმალ სივრცედ რჩება. იგი ცნობილია მკაცრი რელიეფით, ქვისგან ნაგები მითოლოგიური შინაარსის ხალხური არქიტექტურით, მეცხვარეობის ტრადიციებითა და გამორჩეული ბუნებრივი სილამაზით. მიუხედავად ამისა, რეგიონი მთელი წლის განმავლობაში თითქმის დაუსახლებელია. ზამთარში, როდესაც თოვლი გზას კეტავს, თუშეთი კვლავ „ზამთრის ძილს“ ეძლევა. ამ პერიოდში აქ მხოლოდ მესაზღვრეები და რამდენიმე ადგილობრივი რჩება, რომლებიც მითოვებულ სოფლებს უვლიან. თუმცა, მისი დასახლებები მდიდარ ისტორიულ მნიშვნელობასა და ყოველდღიური ცხოვრების გამძლეობას ასახავს, რაც ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ ახერხებდნენ ადამიანები საუკუნეების განმავლობაში კავკასიონის მაღალმთიან, მკაცრ და იზოლირებულ გარემოსთან შეგუებასა და იქ ცხოვრების შენარჩუნებას (სუმბაძე, 2024).



ფიგურა 1 - თუშეთის მდებარეობა საქართველოს რუკაზე (BBC)

### სად მდებარეობს თუშეთი?

თუშეთი მდებარეობს დიდი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. რეგიონის სიმაღლე ზღვის დონიდან 1,650-დან 4,493 მეტრამდე მერყეობს, ხოლო მისი ფართობი დაახლოებით 896 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს (მაკალათია, 1931). თუშეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დაღესტანი, დასავლეთიდან — ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთიდან — ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ხოლო სამხრეთიდან — აღმოსავლეთ კახეთი (მაკალათია, 1931) (სურათი 1). თებულს მთა (4,492 მ) და მრავალი სხვა მაღალი მწვერვალი ქმნის თუშეთის ალპებს, რომლებიც ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს თუშეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთს შორის (მაკალათია, 1931). კავკასიონის მთიანეთში არსებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თუშეთი საუკუნეების განმავლობაში თითქმის სრულად მოწყვეტილი იყო ქვეყნის ძირითად საკომუნიკაციო და კულტურულ ცენტრებთან (სუმბაძე, 2024).

ფიგურა 2 - თუშეთი Shavkhelishvili, A. (2012)

სურათი 3 — თუშურ ქორწილში ტრადიციულ ქართულ სამოსში (ჩოხაში) გამოსახული სახილი (წყარო: Wikipedia)

### ვინ ცხოვრობს თუშეთში?

თუშები ნახევრად მომთაბარე ხალხია. ეს ტერმინი ასახავს მათ სემონურ გადაადგილებას მაღალმთიან და ბარის რეგიონებს შორის. აღნიშნული გადაადგილება მათი ცხოვრების წესის აუცილებელი ნაწილი იყო და მჭიდროდ უკავშირდებოდა საქართველოს ისტორიულ რეალობას, სადაც მთა და ბარი ურთიერთდამოკიდებულ სივრცეებს წარმოადგენდა. მთები მოსახლეობას ბუნებრივ რესურსებსა და დაცვას სთავაზობდა, ხოლო ბარი — ნაყოფიერ მიწებსა და სავაჭრო კავშირებს. ამ ურთიერთობამ განაპირობა საქონლის, ცოდნის, უნარებისა და გამოცდილებისა მუდმივი გაცვლა. მკაცრი ბუნებრივი გარემოს გავლენით ჩამოყალიბებული თუშური კულტურა, ტრადიციები და ადათ-წესები საქართველოს სხვა კუთხეებისგან გამორჩეული იყო. ამავდროულად, მათი მობილობა ხელს უწყობდა ცოდნისა და რესურსების გადატანას როგორც ბარიდან მთაში, ისე მთიდან ბარში. ეს ურთიერთდამოკიდებულება ხაზს უსვამს თუშების მნიშვნელოვან როლს საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრების დაცვის საქმეში. თუშები საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ტომის შთამომავლები არიან და ამ რეგიონში უძველესი დროიდან სახლობენ. ქართულ ისტორიულ წყაროებში თუშეთი პირველად ძვ. წ. III საუკუნეში, საქართველოს პირველი მეფის, ფარნავაზის ეპოქასთან დაკავშირებით მოიხსენიება (ილიძე, 2006).



ფიგურა 2

სუმბაძე (2024) აღნიშნავს, რომ II საუკუნის ბერძენი გეოგრაფის, კლავდიოს პტოლემეოსის მიერ მოხსენიებული ტომი „ტუსკები“ (Tusks) სწორედ თუშებს შეესაბამება. ქართული მათიანების მიხედვით, თუშეთი IV საუკუნეშიც მოიხსენიება. კერძოდ, ფხოველთა (ფშავ-ხევსურების) გაქრისტიანების მცდელობის პერიოდში, მოსახლეობის ნაწილმა საკუთარი საცხოვრებელი ადგილები დატოვა და ქრისტიანიზაციის პროცესისგან თავის არიდების მიზნით თუშეთს შეაფარა თავი (ილიძე, 2006). VIII საუკუნიდან საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში, მათ შორის თუშეთშიც, ქრისტიანობის გავრცელება აქტიურად დაიწყო (ილიძე, 2006). ისტორიულად, თუშეთი ოთხ თემად იყო დაყოფილი: წოვათის, გომეწრის, პირიქითისა და ჩაღმის თემებად. თითოეული თემის სათავეში იდგა არჩეული ხევისბერი, რომელიც ერთდროულად ასრულებდა როგორც სულიერი, ისე საზოგადოებრივი ლიდერის ფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების წესი, ტრადიციები და ადათ-წესები ოთხივე თემში ძირითადად ერთგვაროვანი იყო, მათ შორის ენობრივი განსხვავებებიც არსებობდა. წოვათის თუშები წოვათურ ენაზე მეტყველებდნენ, ხოლო ჩაღმის თუშები ჩაღმურ კილოს იყენებდნენ, რომელიც ქართული ენის თუშური დიალექტური ფორმაა (ილიძე, 2006).




ფიგურა 3

## რა ისტორიას ატარებს თუშეთი?

თუშეთის ისტორიის თანამედროვე კვლევები კვლავ შეზღუდულია და მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს როგორც არქეოლოგიურ, ისე წერილობით წყაროებში (Horak, თარიღის გარეშე). რეგიონში პირველი მნიშვნელოვანი კვლევები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, ხოლო გარკვეული არქეოლოგიური სამუშაოები 1980-იან წლებშიც ჩატარდა. თუმცა, ამ კვლევების დიდი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია. შედეგად, არქეოლოგიური თვალსაზრისით, თუშეთი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ რეგიონად რჩება (ბახტურიძე, 2013).

ამ კვლევების განხილვისას აუცილებელია მათი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებაც. კვლევათა უმეტესობა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის პერიოდში განხორციელდა, რის გამოც მათი შედეგები კრიტიკულ გადაფასებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745) საქართველოს ისტორიის თხრობით აღწერას XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით გვთავაზობს, ისტორიულ წყაროებში კვლავ მრავალი სიცარიელე და დაუზუსტებელი საკითხი რჩება (ვიკიპედია).



- თუშეთში პირველი დადასტურებული დასახლების არსებობა.
- მწირი არქეოლოგიური აღმოჩენები (მაგალითად, ბრინჯაოს არტეფაქტები და სამარხები).
- დასახლებები, სავარაუდოდ, ჩამოყალიბებული იყო ქვემო ომალოსა და შენაქოს ტერიტორიებზე.
- რეგიონი გამოიყენებოდა მინერალური რესურსების მოპოვებისთვის.
- ცენტრალურ პლატოებზე დასახლებისა და კულტურული საქმიანობის უწყვეტობა.
- ფარნაუზ მეფის მმართველობის პერიოდში თუშეთი ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.
- ბერძენი გეოგრაფის, კლავდიოს პტოლემოსის ნაშრომებში თუშები პირველად მოიხსენიებიან.
- ანანია შირაკაიცის „სომხურ გეოგრაფიაში“ თუშები აღნიშნულ რეგიონში არიან ლოკალიზებული.
- დამოუკიდებელი კახეთის პანკისის ერისთავთა მმართველობის პერიოდში თუშეთში ქრისტიანობის ნაწილობრივი გავრცელება დაიწყო.
- თუშეთი წარმართული მთიელებისთვის ქრისტიანიზაციის პროცესისგან თავის დასაღწევ თავშესაფრად იქცა.
- თუშეთი კახეთის ეპისკოპოსთა იურისდიქციაში მოექცა და ადმინისტრაციულად ალავერდის საეპისკოპოსოს დაუკავშირდა.
- კესელო XIII საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოში მონღოლთა შემოსევების პერიოდში აშენდა. იგი წარმოადგენს მცირე ზომის შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეს, რომელიც სოფელ ომალოს გემოთ მდებარეობს. თავდაპირველად კესელის ციხეს 13 თავდაცვითი კოშკი ჰქონდა. ძველი ომალოს მოსახლეობა ამ კოშკებს მტრის თავდასხმებისგან თავის დასაცავად იყენებდა (Agenda.ge). დღეისათვის კესელის კომპლექსში შვიდი კოშკია აღდგენილი. ერთ-ერთ მათგანში მოწყობილია მუზეუმი. (Keselo Fortress – a Prominent Example of Tusheti’s Architecture, 2022).
- თამერლანის ლაშქრობებმა თუშეთი მნიშვნელოვნად დაზარალა.
- კესელის ციხე დაიწვა; განადგურების კვალი დღემდე შეიმჩნევა ნაგებობის დაშვარი კონსტრუქციების სახით (Horak, თარიღის გარეშე).
- მოსახლეობის რაოდენობის შემცირებამ საკვარეულო თავდაცვითი კოშკების მშენებლობას შეუწყო ხელი.
- დაღესტნიდან და ჩეჩენეთიდან განხორციელებულმა ხშირი თავდასხმებმა დამატებითი თავდაცვითი კოშკების მშენებლობა განაპირობა. თუშეთსა და დაღესტანს შორის საზღვრისპირა ვაჭრობა აქტიურად ვითარდებოდა. თუშეთი კავკასიაში ისლამიზაციის პროცესს გამოქცეული ქრისტიანებისთვის თავშესაფრად იქცა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ქრისტეს სახელის სხენება აკრძალული იყო, ვარდა თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის შორეული მთიანი რეგიონებისა“ (Horak, თარიღის გარეშე).



- მეფე ლევანმა თუშებს ალვანის საძოვრები უბოძა.
- დაარსდა ქვემო ალვანის, ზემო ალვანისა და ლალისყურის სოფლები.
- საძოვრებით სარგებლობის უფლების სანაცვლოდ, თუშებმა კახეთის სამეფო ხელისუფლების ერთგულება აღიარეს.
- ზეზვა გაფრინდაულის ხელმძღვანელობით თუშებმა მონაწილეობა მიიღეს ბახტრიონის ბრძოლაში და წვლილი შეიტანეს სპარსელებზე ქართველთა გამარჯვებაში.
- ალა-შაჰმად ხანის შემოსევებმა მოსახლეობა მთებში ვახიზუნას აიძულა.
- თუშები, ფშავლები და ხევსურები კავკასიის იმამატის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის მხარეს იბრძოდნენ (Horak, თარიღის გარეშე).
- იმამ შამილის ლაშქრობების დროს დაიწვა დიკოლსა და შენაოს მსგავსი სოფლები (1836; 1846–1852).
- შეთე გულუხაიძის მსგავსი გმირები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ შემოსევებს და მონაწილეობდნენ კავკასიის იმამატის დამარცხებაში.
- 1830-იან წლებში სტიქიურმა უბედურებებმა და ეპიდემიებმა, მათ შორის წყალდიდობებმა და შავმა ჰიშმა, მრავალი სოფლის დაგლა გამოიწვია. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა მოსახლეობის კახეთის ბარში გადასახლებასა და მიწათმოქმედების განვითარებას უწყობდა ხელს. ჩამოყალიბდა ორმაგი სამეურნეო სისტემა: ზაფხული თუშეთში, ზამთარი — კახეთში. თუშურ დიალექტში დამკვიდრდა ტერმინები „კახურები“ (ბარის მცხოვრებლები) და „თუშურები“ (მთის მცხოვრებლები).
- 1920-იანი წლები — დაიწყო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მათ შორის სკოლების მშენებლობა.
- 1930-იანი წლები — კოლექტივიზაციის პოლიტიკამ შეზღუდა კვიძო საკუთრება, თუმცა მეცხვარეობა კვლავ შენარჩუნდა.
- 1940–1950-იანი წლები — იძულებითი გადასახლების პოლიტიკის შედეგად თუშეთი „არაპერსპექტიულ რეგიონად“ გამოცხადდა. მრავალი ადგილობრივი ტრადიციების დაცემა დაიწყო.
- 1970–1980-იანი წლები — დაიწყო აღორძინების პერიოდი, რომელიც გზების მშენებლობას, ელექტრიფიკაციასა და ძირითადი სერვისების განვითარებას მოიცავდა.
- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეწყდა სახელმწიფო სუბსიდიები, ელექტროენერჯის მიწოდება, გზების მოვლა, ვეტერინარული მომსახურება და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა.
- სკოლებმა ეტაპობრივად შეწყვიტეს ფუნქციონირება; თუშეთის ბოლო მოსწავლემ 2006 წელს დატოვა.
- დაიხურა სამედიცინო პუნქტი და შეწყდა სატელეკრაფო მომსახურება.
- შეწყდა ვერტმფრენით სატრანსპორტო მომსახურება (Horak, თარიღის გარეშე).
- გეოქმდა სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობები, ხოლო სავაჭრო საქმიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა ან შეწყდა.
- საერთაშორისო ჩართულობა — ეუთომ (OSCE) თუშეთში მონიტორინგის პუნქტი დააარსა.
- განხორციელდა ჰუმანიტარული და განვითარების პროექტები, მათ შორის კახეთთან პერიოდული ვერტმფრენით მიმოსვლა.
- 2003–2008 წლები — დაიწყო ტერიზმის განვითარება; აღდგა კესელის კოშკები და დაარსდა თუშეთის ერთგული პარკი.
- აშშ-ის მხარდაჭერით განვითარდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის აშენდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.
- 2010-იან წლებში ტერიზმის ზრდამ მნიშვნელოვნად იმატა და 2019 წლისთვის ემიგრანთა რაოდენობამ 16 000-ს გადააჭარბა.
- თუშური ტრადიციები ფესტივალების მეშვეობით კვლავ ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, ხოლო რეგიონი მნიშვნელოვან კულტურულ და ეკოლოგიურ ცენტრად რჩება.

**დასახლების სტრუქტურა და ხალხური არქიტექტურის ფორმირება**

თუშეთი შედგება შედარებით კომპაქტური სოფლებისგან, რომლებიც მდინარის ხეობების კლდოვან და მზიან ფერდობებზეა განლაგებული. სოფლების თავზე აღმართული მაღალი და ვიწრო კოშკები გვახსენებს ამ დასახლებების თავდაცვით ხასიათს. რეგიონი მდიდარია ფიქალი ქვით, რომელიც ადგილობრივი სამშენებლო მასალის ძირითად წყაროს წარმოადგენდა და თითქმის ყველა ნაგებობის ასაგებად გამოიყენებოდა. თუშთა სამეურნეო საქმიანობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა როგორც საცხოვრებელი, ისე სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების სტრუქტურა. ისინი საცხოვრებელ და სამეურნეო სივრცეებს ორ განსხვავებულ ზონად ანაწილებდნენ. პირველი იყო ძირითადი გამაგრებული სოფელი, სადაც დომინირებდა თავდაცვითი კოშკები და ციხე-სახლები. მეორე კი ქვედა, ზამთრის დასახლება — ბოსელი, იგივე (Barn House), რომელიც ადამიანებისა და პირუტყვის ერთობლივ საცხოვრებლად გამოიყენებოდა და მტრისგან თავდაცვისთვის არ იყო განკუთვნილი (სუმბაძე, 2024). თუშეთში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მეცხვარეობას ენიჭება. თუშური მეცხვარეობა მომთაბარე ხასიათისაა და რეგიონის ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს, რასაც ხელს უწყობს ფართო და უხვი საძოვრები. სოფლების დაშორებამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისგან განაპირობა ზამთრის

დასახლებების ჩამოყალიბება, რომლებიც მეურნეობის წარმოებისა და პირუტყვის გამოზამთრების ძირითად ცენტრს წარმოადგენდა (სუმბაძე, 2024). თუშური ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელი იყო „სოფელ-ბოსლობა“ — მოსახლეობის სეზონური გადაადგილება. თოვლის მოსვლისა და მთებიდან მომავალი მტრის თავდასხმების საფრთხის შემცირების შემდეგ, სოფლის მოსახლეობა ზამთრის გასატარებლად ბოსლებში გადადიოდა. ეს ნაგებობები სოფლების განაპირა ნაწილში, სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების სიახლოვეს იყო განლაგებული (სუმბაძე, 2024). ბოსლების პირველი სართული პირუტყვისთვის იყო განკუთვნილი, რაც ზედა, საცხოვრებელი სართულის ბუნებრივ გათბობასაც უზრუნველყოფდა. პიგიურთი თვალსაზრისით, ადამიანებისა და პირუტყვის სივრცეები ერთმანეთისგან კედლით, ფარდით ან იატაკის განსხვავებული დონით იყო გამოიზნული (სუმბაძე, 2024). ბოსელებს მცირე ზომის ფანჯრები ჰქონდა, რომლებიც, როგორც წესი, სამხრეთის ფასადზე იყო განთავსებული. თბოიზოლაციის გაუმჯობესების მიზნით, შენობების გარე კედლები ტალახითა და სხვა ადგილობრივად ხელმისაწვდომი მასალებით იფარებოდა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2018). მცირე ოჯახების ნაწილს სოფლის გარეთ საკუთარი სამეურნეო მიწები არ გააჩნდა, ამიტომ პირუტყვს ციხე-სახლის პირველ სართულზე მოწყობილ ბოსლებში ანაწილებდნენ. ამ სართულს „ბაშტე“ ეწოდებოდა და სწორედ ამ პრაქტიკამ წარმოშვა თუშური საცხოვრებელი არქიტექტურის ერთ-ერთი უნიკალური სახეობა (სუმბაძე, 2024).

თუშეთის დასახლებების უმეტესობა განლაგებულია სამხრეთისკენ მიმართულ, მზიან, ფართო კლდოვან ფერდობებზე, რომლებიც ზვავებისგან ბუნებრივად არის დაცული. მთიელებმა კარგად იცოდნენ, რომ რაც უფრო შეკრული და კომპაქტური იყო სოფელი, მით უფრო ადვილი იყო მისი დაცვა მტრის თავდასხმებისგან, ასევე ბავშვებისა და ქალების სწრაფად გადაყვანა სათემო ციხე-სიმაგრეებსა და თავშესაფრებში (სუმბაძე, 2024). ამ დასახლებების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ბორბლიანი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გზების არარსებობა, რაც სხვადასხვა სოფელს შორის გადაადგილებასა და კომუნიკაციას მნიშვნელოვნად ათულებდა, ზოგ შემთხვევაში კი თითქმის შეუძლებელს ხდიდა (სუმბაძე, 2024).

სოფლების განვითარებასა და გაფართოებას დიდწილად განსაზღვრავდა სახნავ-სათესი მიწების ხელმისაწვდომობა. შესაბამისად,

დასახლების სტრუქტურა და მასშტაბი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო რესურსებთან და მათი გამოყენების შესაძლებლობებთან (სუმბაძე, 2024).



სურათი 7 — ბოსელი წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2018.




სურათი 6 — აეროფოტო, რომელიც ასახავს „სოფელ-ბოსლობის“ სისტემას: ზაფხულისა და ზამთრის დასახლებების განლაგებას. წყარო: Google Earth.




სურათი 5 — ბოსელი, სოფელ შენაკში. წყარო: ავტორის ფოტო.

სოფლების ზედა ნაწილებში ხშირად აღმართულია საბრძოლო კოშკები — ხუთ-ექვსსართულიანი სათემო ნაგებობები, რომლებსაც როგორც საგვარეულო, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი კოშკები გვხვდება ომალში, შენაქში, დართლოში, ინდურთასა და თუშეთის სხვა სოფლებში (სურათი 6). კოშკები თავდაცვით სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მათი მეშვეობით მოსახლეობას მტრის გამომჩენის შესახებ წინასწარ აფრთხილებდნენ, რაც საფრთხის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას იძლეოდა. თუშეთში ორი ძირითადი ტიპის კოშკი გამოიყოფა. პირველი ტიპი მოიცავს განცალკევებულ, მაღალ და მოხდენილ კოშკებს პირამიდული გადახურვით, რომლებიც, როგორც წესი, ხუთიდან ექვს სართულამდე აღწევს. ასეთი კოშკები ძირითადად პირიქითისა და ჩაღმის ხეობებში გვხვდება (სურათი 8). მათი სიმაღლისა და სიფაქიზის მიღწევა შესაძლებელი გახდა დუღაბის გამოყენებით, განსხვავებით სხვა ტიპის კოშკებისგან, რომლებიც მშრალი წყობით, დუღაბის გარეშე იყო ნაგები (Horak, 2024).




სურათი 8 — პირიქითის ტიპის თავდაცვითი კოშკი. წყარო: მაკალათია, ს. თუშეთი. თბილისი, 1933, გვ. 95, 121–122.

კოშკების ხანძრისგან დასაცავად, მათი კედლები, როგორც წესი, გლუვად იყო დამუშავებული, რათა მათზე აძრვამა გართულებულიყო. ამასთანავე, ნაგებობის გარეთ არ იყო დატოვებული ხის კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც ცეცხლის გავრცელებას შეუწყობდა ხელს (Horak, 2024). კოშკის პირველი სართული პირუტყვისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მთავარი შესასვლელი უმეტეს შემთხვევაში პირველი სართულის დონიდან ზემოთ იყო მოწყობილი, რაც თავდაცვით ფუნქციას ემსახურებოდა (Horak, 2024). შუა სართულები ქალებისა და ბავშვების შესაფარებლად გამოიყენებოდა, ხოლო დანარჩენი სართულები, რომლებიც სპეციალური სათოფურებით იყო აღჭურვილი, თავდაცვისთვის იყო განკუთვნილი. კოშკის ზედა სართულზე მოწყობილი იყო ქვის შვერილი — სალოდე, საიდანაც მცველები მტერს ტყვიებს ესროდნენ და ქვებს აყრიდნენ (ლაღაზიძე, 1965). მტრის თავდასხმის დროს კოშკები მოსახლეობისა და მათი ქონების მთავარ თავშესაფარს წარმოადგენდა. ასეთ გამაგრებულ დასახლებებში წყალი ახლომდებარე მდინარეებიდან მიწისქვეშა გვირაბების მეშვეობით მიეწოდებოდა, რომლებიც სოფელს წყლის ძირითად წყაროსთან აკავშირებდა (მაკალათია, 1931).



სურათი 9

სურათი 9 — ომალ, თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრი. სოფლის ზედა ნაწილში დღემდე შემორჩენილია თავდაცვითი ნაგებობები, ხოლო დასახლების ძირითადი ნაწილი საცხოვრებელი სახლებით არის წარმოდგენილი. ომალ ინარჩუნებს თუშური ხალხური და შუა საუკუნეების არქიტექტურის გამორჩეულ სახეს. აქვე მდებარეობს კესელის მოქმედი მუზეუმიც (Landru, N., თარიღის გარეშე).



თუშური ციხე-სახლი „შინაი“ (ოთხთავიანი)

- I. პირველი სართული - "ბაშტე"
  1. ბაგა
  2. საბორე(სახმოიანი)
  3. დედა მილიონაი
  4. ბადიმი(დუქანი)
  5. ქანდარა
  6. გარე კუთხე "კიმი"
  7. შიდა კუთხე "ყურე"

II-III. სართული - "შუა", "ზედაშუა"

8. კარი
9. ერდო
10. სარკველი
11. საკვამლაი
12. კერა
13. სამაცო ადგილი - სამაცო მუხი
- 14 & 14'. სადიაფო ადგილი სადიაფო მუხი
15. ტახტი
16. თაოლ(სამთვალისანი)
17. შეკუმი

IV. ჭერხო

18. სათვალაი
19. ხარდახი

VI-VII. სახლისთავი

23. კესის ხიდი
24. ყუა(საქარე)
25. მილიონაი

VIII. "ბანის" კონსტრუქცია - მიწა - ჩხლაპვი(სიპი) - ყავრე - ხიდი - დღველი - მილიონაი

IX. კარები

1. საკარძის ხე
2. ყუენი
3. კედის(ურდული)
4. სახელე

### ციხე-სახლი

თუშური ციხე-სახლები ზომით საშუალოა და ტრადიციული თავდაცვითი კოშკების სიმაღლეს არ აღწევს. მათი სართულების საშუალო სიმაღლე დაახლოებით 2 მეტრია, ხოლო შენობების სიგანე 6–7 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ციხე-სახლები, როგორც წესი, მრავალსულიანი ოჯახების ან რამდენიმე ოჯახის ერთობლივ საცხოვრებელს წარმოადგენდა.

მეორე სართულზე განთავსებული იყო კერა, რომელიც ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ სივრცეს ქმნიდა. მშვიდობიან პერიოდში ზედა, თავდაცვითი დანიშნულების სართული ან სხვენი ძირითადად საკუჭნაოდ და საწყობად გამოიყენებოდა, ხოლო მტრის თავდასხმის დროს იგი თავდაცვით ფუნქციას იძენდა და მოსახლეობის უსაფრთხოებას ემსახურებოდა (სუმბაძე, 2024).

სურათი 10 — თუშური ციხე-სახლი „შინაი“ (ოთხთავიანი). გ. ბოჭორძის (1935) ნახაზის მიხედვით გადახაზული ლონჯინომ სუმბაძის მიერ, 1975 წელს (სუმბაძე, 2024).

თუშურ სოფლებში ასევე გვხვდება სხვადასხვა საკულტო დანიშნულების ნაგებობაც. სოფლების გარეთ აგებული იყო სათემო აკლდამები, რომლებიც ორფერდა ფიქლის სახურავით იყო გადახურული. ეპიდემიების დროს უიმედოდ დარჩენილი ავადმყოფები ამ ადგილებში მიდიოდნენ სიცოცხლის უკანასკნელი დღეების გასატარებლად. ეკლესიების მშენებლობა თუშეთში შედარებით გვიან დაიწყო და არსებული მონაცემებით, მათი უმეტესობა XIX საუკუნის პირველი ნახევრამდე არ თარიღდება.

სურათი 11 — სალოცავები — თუშეთის რელიგიური არქიტექტურის ნიმუშები.




Totenhäuser mit Pyramidendach (Applis 2023 unter Bezug auf Makalatia 2022)

**არქიტექტურა გარდამავალ პერიოდში**

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტრადიციულმა თუშურმა საცხოვრებელმა სახლებმა ცვლილება და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან ადაპტაცია დაიწყო. ეს პროცესი უკავშირდებოდა როგორც მოსახლეობის ცხოვრების წესის ტრანსფორმაციას, ისე ქვეყნის ისტორიულ და პოლიტიკურ ცვლილებებს. ალვანის სოფლების გავლით, სადაც კახეთის ბარში გადასახლებული თუშები ცხოვრობდნენ, რეგიონში ქარხნული წარმოების პროდუქცია შემოვიდა (მაკალათია, 1931). შეძლებული ოჯახები ხშირად შლიდნენ ძველ საცხოვრებლებს და მათ სამშენებლო მასალას ახალი, თანამედროვე ტიპის სახლების ასაგებად იყენებდნენ. შედეგად, ტრადიციული ტიპის საცხოვრებლები თანდათან გაქრობის პროცესში აღმოჩნდა. გადაკეთების შედეგად, მრავალი სახლი ორ- ან სამსართულიან ნაგებობად იქცა, ხოლო ზედა თავდაცვითი სართულები ხშირად გაუქმდა. მათ ნაცვლად შენდებოდა სხვადასხვა დამხმარე სივრცე — კიბეები, ბოსლები, სხვენები, საწყობები,

სამზარეულოები და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები (მაკალათია, 1931). ამ პერიოდში შეინიშნება სოფლის დასახლებების სიმჭიდროვის ზრდა. სოფლების სილუეტში ჩნდება წაგრძელებული საცხოვრებელი სახლები გადახურული აივნებით, შექმნილი ღიობებითა და მსუბუქი ხის სვეტებით. სწორედ ამ პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი გამორჩეული არქიტექტურული სოფლები, როგორცაა დართლო, შენაქო და ომალო (სუმბაძე, 2024). საცხოვრებელ სახლებში ცენტრალური კერა თანდათან თუნუქის ღუმელმა ჩაანაცვლა. ამ ცვლილებამ ციხე-სახლების ადრე ბნელი და ჭვარტლით დაფარული ინტერიერები ნათელ და სუფთა საცხოვრებელ სივრცეებად გარდაქმნა. ამავე პერიოდში სახლებს სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე ნაგებობები და სივრცეები დაემატა. კასრე — სახლზე მიშენებული სათავსო, რომელიც მტრისა და გამთრის სიცივისგან დასაცავად გამოიყენებოდა და სხვადასხვა ნივთის, მათ შორის კიდობნების, ქოთნების, წყლის, დაფქვილი ფქვილისა და საფქვაავი იარაღების შესანახად იყო განკუთვნილი. საცეცხლური — ცალკე ნაგებობა ან სახლის მინაშენი, რომელიც ზაფხულში ცეცხლის დასანთებად გამოიყენებოდა. დერეფანი — პირუტყვის შესაფარებელი სივრცე. ფარდული — აივნის ქვეშ მოწყობილი ადგილი ცხენების დასაბმელად, შეშის შესანახად ან კოცონის დასანთებად. საქსლო — დამოუკიდებელი ან სახლზე მიშენებული ნაგებობა, რომელიც ქსოვისთვის გამოიყენებოდა. ქართანაი — სახლის წინა ეზო. ბაშტიკარი — კოშკის წინა ეზო. საკვაბე — სათემო ნაგებობა ლუდის სახდელად. მილიონაცი — კორალის (ბაკის) კვადრატული სვეტი, რომელიც შეიძლება შენობის შიგნით ან გარეთ მდებარეობდეს (სუმბაძე, 2024). ამ დროიდან აივანი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად იქცა. ხის გალერეები და აივნები საერთო ქართული ტრადიციის შესაბამისად ფორმირდებოდა, რომელიც ბუნებრივად ყველაზე ახლოს კახეთის ხალხურ არქიტექტურასთან იდგა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გარდამავალი პერიოდის ნაგებობები ერთდროულად პასუხობდა მკაცრი მაღალმთიანი კლიმატის მოთხოვნებს და ქმნიდა უფრო კომფორტულ, პრაქტიკულ და მრავალფუნქციურ საცხოვრებელ გარემოს.

თუშეთი დღეს ახალი დანიშნულებისა და განვითარების მიმართულების ძიების პროცესშია. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის, მეცხვარეობის, მაღალი ხარისხის მატყლის წარმოებისა და სასაზღვრო ფუნქციის თვალსაზრისით, თანამედროვე პირობებში სწორედ ტურიზმი იქცა იმ ძირითად ფაქტორად, რომელიც თუშებს ზაფხულის თვეებში მთაში დაბრუნებისა და იქ ცხოვრების გაგრძელების მოტივაციას აძლევს (ნანიტაშვილი და იენსენი, 2018).



სურათი X — II სართულის გეგმა — საცხოვრებელი ნაწილი, ბარის არქიტექტურით შთაგონებული.

ფიგურა 12 - გარდამავალი სახლი (Ministry of regional development and infrastructure of Georgia, 2018)

**თავი 2 — დაცული ლანდშაფტი და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი**

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ისეთი მოღვაწეები, როგორც იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეროვნული საგანძურის დაცვასა და შენარჩუნებაში (თავბერიძე, 2022). ამასთანავე, ისტორიულად ისეთ რეგიონებს, როგორც სვანეთია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურული ფასეულობების დაცვის საქმეში, რადგან მონღოლთა და სპარსელთა შემოსევების პერიოდში იქ ინახებოდა არაერთი მნიშვნელოვანი რელიქვია

და არტეფაქტი (Dunbar, 2022). ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ქართული საზოგადოების კოლექტიურ ძალისხმევას ტრადიციების, ხელოვნების ნიმუშებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. მემკვიდრეობის ეფექტური დაცვა მოითხოვს კოორდინირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ რეგულაციებს, განათლებას, კვლევას და მართვის სტრატეგიებს. კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად პირველ რიგში აუცილებელია მისი ღირებულების სწორად გააზრება, ასევე მისი მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასება და მონიტორინგი. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი კონსერვაციისა და დაცვის ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

**თუშეთის დაცული ლანდშაფტი, ეროვნული პარკი და ნაკრძალი**

აღნიშნული სტატუსების საფუძველზე, თუშეთში მოქმედებს რეგულაციები, რომლებიც აკონტროლებს მიწის საკუთრებას, არქიტექტურულ ცვლილებებსა და ახალი ნაგებობების მშენებლობას. ამასთანავე, ისინი მიზნად ისახავს რეგიონის ფლორისა და ფაუნის დაცვას, ეკოტურიზმის განვითარებასა და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერას (NACRES, 2012).

თუმცა, მიუხედავად არსებული რეგულაციებისა და დასახული მიზნებისა, რეალური მდგომარეობა არაერთ გამოწვევას აჩენს. რესურსების ნაკლებობამ და არსებული რეგულაციების არასათანადო აღსრულებამ მნიშვნელოვანი სირთულეები შექმნა რეგიონის უნიკალური ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით. ამასთანავე, ეკონომიკური პრიორიტეტების ცვლილების შედეგად, თუშეთში მრავალი ადგილობრივი ოჯახი ტრადიციული სოფლის მეურნეობის ნაცვლად ტურისტულ საქმიანობაზე გადაერთო. შედეგად, ისინი სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებული ბარდთან შემოტანილ პროდუქტებზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნა თანდათან უკანა პლანზე ინაცვლებს. ეს პროცესი საფრთხეს უქმნის თაობიდან თაობაზე გადაცემულ გამოცდილებას, უნარებსა და კულტურულ პრაქტიკებს (Khartishvili, L., svajda, J., Malac, L. 2020).

## არქიტექტურული და მატერიალური ასპექტები

არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარებისათვის ბუნებრივი რესურსების სათანადო შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუშეთის ტრადიციული არქიტექტურა ადგილობრივ სამშენებლო მასალებზე დაფუძნებულია. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ფიქალი, რომელიც ბუნებრივად თხელ ფენებად იშლება და სამშენებლო მიზნებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას წარმოადგენს (მაკალათია, 1933). ტრადიციული ნაგებობები მშრალი წყობის მეთოდით ძირითადად, დუღაბის გარეშე იგებოდა. იატაკისა და გადახურვის კონსტრუქციებში ძირითადად ფიჭვისა და არყის ხეს იყენებდნენ, ხოლო თბოიზოლაციისთვის და გათბობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად მიწის, თივისა და ძროხის ნაკვლის ნარევი გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვის მოპოვებისა და ტრანსპორტირების თანამედროვე მეთოდები მნიშვნელოვნად განვითარდა, სამშენებლო მასალების მაღალმთიან რეგიონში გადატანა კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრებიდან ირკვევა, რომ სულ უფრო ნაკლებია კვალიფიციური ხელოსანი და კონტრაქტორი, რომლებიც მსგავსი სირთულის მქონე პროექტების განხორციელებას თანხმდებიან.

თუშეთის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში ჩართული არქიტექტორი ვია აბულაძე აღნიშნავს, რომ ქვემო ალვანის მცირე სკოლაში არსებული ერთი სასწავლო კლასი ვერ უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის სპეციალისტების მომზადებას. მისი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია თუშეთში ფიქლის მოპოვების ლეგალიზება, რაც არსებული კონტექსტისათვის უფრო ადეკვატური არქიტექტურული და სარესტავრაციო გადაწყვეტილებების განხორციელებას შეუწყობდა ხელს (Mtisambebi.ge, 2019). გარკვეული ძალისხმევა განხორციელდა არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერაც. მაგალითად, „კესელის ფონდის“ მხარდაჭერით რეაბილიტაცია ჩატარდა რამდენიმე ისტორიულ ნაგებობას, მათ შორის ერთ-ერთ კოშკს, რომლის აღდგენაში ჩეხი მოხალისეები მონაწილეობდნენ. ადგილობრივები ამ ნაგებობას დღესაც „ჩეხურ ციხეს“ უწოდებენ (Lazarova, 2017). თუმცა, მსგავსი ცალკეული

ინიციატივები მხოლოდ ხაზს უსვამს მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის უფრო ფართო, გრძელვადიანი და სისტემური სტრატეგიის აუცილებლობას.

## მართვის გამოწვევები

თუშეთის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან როგორც თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, ისე ახმეტის მუნიციპალიტეტი. საქართველოს სხვა რეგიონებში განხორციელებული არაერთი წარუმატებელი სარეაბილიტაციო პროექტი ამ პრობლემების მასშტაბს ნათლად წარმოაჩენს. მაგალითად, ქუთაისში ბაგრატის ტაძარსა და გელათის მონასტერში ჩატარებული არასათანადო საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების გამო, აღნიშნული ძეგლები იუნესკომ საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა (UNESCO, 2018).

მსგავს საფრთხეებს დღეს თუშეთშიც ვხვდებით. თანამედროვე სამშენებლო პრაქტიკა, მათ შორის ცემენტის ბლოკებისა და თუნუქის სახურავების გამოყენება, რეგიონის ტრადიციულ არქიტექტურულ სახესა და ისტორიულ იდენტობას საფრთხეს უქმნის (სურათები 14, 15).

